



6651/4-2/21 2 29062021

6651/4-2/21
29-06-2021

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია (2020 წლის 29 ივნისის მდგომარეობით):

1. პატიმრობაში მყოფ ბრალდებულთა საერთო რაოდენობა;
2. პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა;
3. პატიმრობაში მყოფ პირთა (ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა) საერთო რაოდენობა (იმის გათვალისწინებით, რომ 1-2 პუნქტებში მითითებულ პირთა ჯამი ავტომატურად არ გულისხმობს პატიმართა სართო რაოდენობას);
4. 1-3 პუნქტებში მითითებული მონაცემები პატიმართა სქესის მიხედვით;
5. პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვან პირთა (ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა) საერთო რაოდენობა;
6. COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის სრული ციკლით აცრილ პატიმართა რაოდენობა მათი პროცესუალური სტატუსის მითითებით, ასევე, პატიმართა საერთო რაოდენობა, რომელთაც გაუკეთდათ ვაქცინაციის მხოლოდ პირველი ეტაპი;
7. სამინისტროს მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები პატიმართა (ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა) ვაქცინაციის მიმართულებით.
8. სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სანელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ვაქცინირებული პერსონალის საერთო რაოდენობა;
9. სამინისტროს მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები სპეციალური პენიტენციური სამსახურის პერსონალის ვაქცინაციის მიმართულებით.

წინასწარ გმადლობთ ინფორმაციის გაზიარებისთვის და თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

ქ. სოსელია



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი

MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA
DIRECTOR GENERAL OF THE SPECIAL PENITENTIARY SERVICE



KA010189564259621

0186, ქ. თბილისი ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N27, საქართველო
N27, Zurab Anjaparidze str, Tbilisi, 0186, Georgia, www.sps.gov.ge
ტელ./Tel.:(995 32) 2312734

№166972/01

16 / ივლისი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი, 2021 წლის 29 ივნისის № 6651/4-2/21 (სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში შემოსული 01.07.2021წ. №01/181488) წერილის პასუხად, წარმოგიდგინებ მოთხოვნილ ინფორმაციას:

1. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულთა საერთო რაოდენობა იყო - 1960;

2. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა იყო - 7353;

3. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, თავისუფლებააღკვეთილ პირთა საერთო რაოდენობა იყო - 9313, რაც ემთხვევა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობას, რადგან მსჯავრდებული, რომელსაც წარედგინება ბრალი სასჯელის მოხდის პერიოდში, სარგებლობს ბრალდებულის უფლება-მოვალეობებით, შესაბამისად აღნიშნული პირები გათვალისწინებული არიან ბრალდებულთა საერთო რაოდენობაში;

4. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

- ბრალდებულ მამაკაცთა საერთო რაოდენობა იყო - 1910;
- ბრალდებულ ქალთა საერთო რაოდენობა იყო - 50;
- მსჯავრდებულ მამაკაცთა საერთო რაოდენობა იყო - 7071;
- მსჯავრდებულ ქალთა საერთო რაოდენობა იყო - 282;
- თავისუფლებააღკვეთილ მამაკაცთა საერთო რაოდენობა იყო - 8981;
- თავისუფლებააღკვეთილ ქალთა საერთო რაოდენობა იყო - 332.

5. 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა იყო - 46;

6. 2021 წლის 29 ივნისის მდგომარეობით, COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩატარებული ჰქონდა სულ 2864 მსჯავრდებულს, მათ შორის რევაქცინირებული იყო 1024 მსჯავრდებული (16.07.2021წ. მდგომარეობით, ვაქცინაცია ჩატარებული აქვს სულ 3336 მსჯავრდებულს, მათ შორის რევაქცინირებულია 2740 მსჯავრდებული);


7. სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში აქტიურად მიმდინარეობს პატიმართა ნებაყოფლობითი ვაქცინაციის პროცესი, დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის მიერ, თავისუფლებააღკვეთილ პირებს მიეწოდებათ სრულყოფილი ინფორმაცია ვაქცინაციის, ასევე მისი დიდი მნიშვნელობის შესახებ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში;

8. 2021 წლის 29 ივნისის მდგომარეობით, ვაქცინირებული იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის 1107 მოსამსახურე;

9. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეების ნებაყოფლობითი ვაქცინაცია აქტიურად მიმდინარეობს, თითქმის სრულად არის ვაქცინირებული სამედიცინო პერსონალი, სამსახური მაქსიმალურად უწყობს ხელს ვაქცინაციის პროცესს, მიმდინარეობს მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლება ვაქცინაციის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

გიორგი გიორგაძე